

უაკ - 37.01

**უცხოური ენის პედაგოგთა სერტიფიცირების ზოგიერთი ასპექტი**

ივანე მინდაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ფუმანიტარული ფაკულტეტის განათლების მიმართულება**რეზიუმე**

ნაშრომში განხილულია უცხოური ენის პედაგოგთა სასერტიფიკაციო გამოცდების პირველადი შედეგები. მოცემულია კონკრეტული რეკომენდაციები, რომლებიც ხელს შეუწყობს პედაგოგებს უკეთ მოემზადონ სასერტიფიკაციო გამოცდებისათვის.

**საკვანძო სიტყვები:** მასწავლებელთა სერტიფიცირება, სასერტიფიკაციო გამოცდები

**შესავალი**

2010 წლიდან საქართველოში ტარდება მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდები, რომლებიც წარმოადგენს სერტიფიცირების პროცესის ერთ-ერთ ძირითად ასპექტს. პედაგოგთა სერტიფიცირების პროცესის მიზნად მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა დასახა "სწავლებისა და სწავლის ხარისხის მნიშვნელოვნად გაუმჯობესება", [1] ხოლო ამ პროცესის ფარგლებში ჩატარებულმა სასერტიფიკაციო გამოცდებმა მასწავლებელს შესაძლებლობა უნდა მისცეს "დაადასტუროს თავისი პროფესიული ცოდნისა და უნარ-ჩვევების შესაბამისობა დადგენილ სტანდარტთან." [1] ამრიგად, სასერტიფიკაციო გამოცდები უნდა ეფუძნებოდეს სტანდარტში მოცემულ მოთხოვნებს. სტანდარტში მოცემული მოთხოვნების ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ პედაგოგებს ორი გამოცდის ჩაბარება მოუწევთ: პირველი ამოწმებს პედაგოგთა პროფესიულ უნარებს, ხოლო მეორე – მათ საგნობრივ ცოდნასა და საგნის სწავლების მეთოდის საკითხებს. უშუალოდ ამ ტესტების შემუშავება დაევალა ეროვნული გამოცდების ცენტრს.

ქვემოთ ვილაპარაკებთ უცხოური ენების (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) პედაგოგთა საგნობრივი გამოცდის ფორმატსა და პირველად შედეგებზე, შევეცდებით გარკვეული დასკვნების გაკეთებას და რეკომენდაციების შემუშავებას, რომლებიც დაეხმარება მასწავლებლებს უკეთ მოემზადონ გამოცდებისათვის.

**ტესტის ფორმატი**

უცხოური ენების პედაგოგთა სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისად შემუშავებული ტესტი პირობითად ორ დიდ ბლოკად შეიძლება დაყვით. პირველი ნაწილი ამოწმებს

პედაგოგთა ენობრივ კომპეტენციას, ხოლო მეორე – უცხოური ენის სწავლების მეთოდის გარკვეული ასპექტების ცოდნას.

ენობრივი კომპეტენციის შესამოწმებელ ტესტურ დავალებათა სირთულე უნდა შეესაბამებოდეს "უცხოური ენების სწავლის, სწავლებისა და შეფასების ერთიანი ევროპულ ჩარჩოში" მოცემულ B2 დონეს [2,3]. აღნიშნული დონე შეესაბამება ისეთ საერთაშორისო გამოცდებს, როგორცაა ინგლისური ენის შემთხვევაში კემბრიჯის პირველი სერტიკატი (FCE), გერმანული ენის შემთხვევაში – გოეთეს ინსტიტუტის "Zertifikat B2", ხოლო ფრანგული ენის შემთხვევაში – DELF-ის B2 გამოცდა.

სტანდარტში მოცემული მოთხოვნების შესაბამისად ენობრივი კომპეტენცია დაიყო ოთხ ნაწილად: მოსმენა, კითხვა, წერა, ლაპარაკი. თითოეული ნაწილისთვის დაწესდა მინიმალური ზღვრები (თითოეული ნაწილისთვის გათვალისწინებული ქულათა მაქსიმუმის 30%+1), რომელთა გადალახვა გამოცდის წარმატებით ჩაბარების აუციულებელ მოთხოვნას წარმოადგენს.

ტესტის მეორე ნაწილში მოცემულია ისეთი დავალებები, რომლებიც უშუალოდ ამოწმებს უცხოური ენის სწავლების სპეციფიკას. თუმცა მათთან ერთად მოცემულია ისეთი დავალებაც, რომელიც ამოწმებს პედაგოგთა რუტინულ, ყოველდღიურ საქმიანობას – შეცდომების გასწორებას. ამ დავალებაში პედაგოგს მოეთხოვება მოცემულ ტექსტში აღმოაჩინოს დაშვებული შეცდომები და მოახდინოს მათი კლასიფიკაცია შეცდომების მოცემული ტიპების შესაბამისად. აღსანიშნავია, რომ მეთოდის ამ ნაწილში არ არის დაწესებული მინიმალური ზღვარი.

გამოცდის წარმატებით ჩასაბარებლად აპლიკანტმა უნდა დააგროვოს მთლიანი ტესტის მაქსიმალური ქულის (120 ქულის) 60% -ზე მეტი ანუ 73 ქულა და მეტი.

		დავალება	საკითხი	მაქს. ქულა	მინ. ზღვარი
1	მოსმენა	2	16	16	6 (30%)
2	კითხვა	3	22	22	8 (30%)
3	წერა	1	1	16	6 (30%)
4	ლაპარაკი	3	3	16	6 (30%)
5	მეთოდის	7	45	50	-
	ჯამი			120	73 (60%)

**ტესტის სტატისტიკური მახასიათებლები**

გამოცდის შემდეგ ტარდება მიღებული შედეგების სტატისტიკური ანალიზი. ქვემოთმოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2011 წლის ტესტირების შედეგები.

გამოცდა	2011 წელი			
	სირთულის ინდექსი	სანდოობის ინდექსი	სტანდარტული გადახრა	გაზომვის შეცდომა
ინგლისური	57.04	0.94	18.82	4.68
გერმანული	57.21	0.95	20.70	4.77
ფრანგული	56.59	0.94	20.05	4.81
რუსული	75.11	0.93	17.25	4.71

თითოეული ტესტი სანდოობის მაღალი ხარისხით გამოირჩევა. ტესტების სირთულე ყველა ენაში თანაბარია, გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ რუსული ენის პედაგოგების შედეგი. ეს გარემოება სავარაუდოდ აიხსნება იმით, რომ რუსული ენის პედაგოგებს შორის მრავლადაა ისეთი პედაგოგები, რომელთათვის რუსული მშობლიური ენაა და რომლებსაც, შესაბამისად, გაუიოლდათ მოცემული ტესტის წარმატებით დაძლევა.

გამოცდა	2010 წელი			2011 წელი		
	მონაწილეობდა	გადალახა	სერტიფიკატი	მონაწილეობდა	გადალახა	სერტიფიკატი
ინგლისური	999	414 (41.4%)	207	1166	476 (40.8%)	337
გერმანული	307	107 (34.8%)	51	262	116 (44.3%)	96
ფრანგული	81	35 (43.2%)	17	57	25 (43.9%)	21
რუსული	1121	717 (63.9%)	240	903	500 (55.4%)	274

ქვემოთ მოცემულ ცხრილში აღნიშნულია თუ რამდენმა პედაგოგმა ჩააბარა წარმატებით უცხოური ენების საგნობრივი გამოცდა და რამდენმა მათგანმა მოიპოვა სერტიფიკატი, ანუ წარმატებით ჩააბარა ასევე მეორე გამოცდა პროფესიულ უნარებში.

ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ იზრდება ინგლისური ენის პედაგოგთა რაოდენობა და იკლებს სხვა ენების პედაგოგთა საერთო რაოდენობა, რაც, სავარაუდოდ, ინგლისური ენის სწავლების განსაკუთრებული სტატუსით აიხსნება.

ყველაზე მეტად უცხოური ენების პედაგოგებს წერიტი და ლაპარაკის ნაწილების მინიმალური ზღვრების გადალახვა გაუძნელდათ.

გამოცდა	წერთი ნაწილი			ლაპარაკის ნაწილი		
	საშუალო ქულა	მინ. ზღვარი	მაქსიმ. ქულა	საშუალო ქულა	მინ. ზღვარი	მაქსიმ. ქულა
ინგლისური ენა	8.53	6	16	7.41	6	16
გერმანული ენა	8.32	6	16	9.45	6	16
ფრანგული ენა	8.25	6	16	10.75	6	16
რუსული ენა	10.22	6	16	11.44	6	16

### პირველადი დასკვნები და რეკომენდაციები

პედაგოგები საჭიროებენ მეტ პრაქტიკას ენის პროდუქტიული უნარების (წერა, ლაპარაკი) გასავითარებლად. დასამალი არაა, რომ სწორედ ამ უნარების სწავლებას ნაკლები ყურადღება ექცევა სკოლაში, რის შედეგად ბევრ მოსწავლეს, სკოლის დასრულების შემდეგაც უჭირს გამართულად მეტყველება და მარტივი ზეპირი ტექსტების გაგება-გაანალიზება.

წერთ დავალებაში პედაგოგებს მოეთხოვებოდათ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით არგუმენტირებული ტექსტის დაწერა. ხშირ შემთხვევაში პედაგოგებს უჭირდათ საკუთარი აზრის მკაფიოდ და არგუმენტირებულად ჩამოყალიბება. მოგეხსენებათ, არგუმენტირებული ესე წარმოადგენს სპეციფიკურ ტექსტობრივ ჟანრს, რომელიც შესაბამის ენობრივ რეპერტუარს მოიხმარს, იქნება ეს გარმატიკულ დონეზე შესაბამისი სინტაქსური კავშირები, რომლებიც არგუმენტირებისას გამოიყენება, თუ პრაგმატულ დონეზე, რომელიც მსჯელობის ჩამოყალიბებას (თეზისი, არგუმენტი, მაგალითი) გულისხმობს. შესაძლებელია ამ ენობრივი საშუალებების სპეციალური სწავლა-სწავლება [4], რაც უდაოდ გამოადგება პედაგოგს გამოცდის ჩაბარების დროს.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. [www.tpdg.ge/index.php?option=com\\_content&view=article&id=15&Itemid=74](http://www.tpdg.ge/index.php?option=com_content&view=article&id=15&Itemid=74)
2. მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი; უცხოური ენები; [www.tpdg.ge/images/stories/pdf/ucxouri\\_enebi.pdf](http://www.tpdg.ge/images/stories/pdf/ucxouri_enebi.pdf)
3. Trim, J. North, B. Coste, D. Gemainsamer europäischer Referenzrahmen für Sprachen: lernen, lehren, beurteilen; Berlin, Langenscheidt, 2001
4. მინდაძე ი. დისკუსიის "საშენი" ერთეულების სწავლების საკითხისათვის; საენათმეცნიერო ძიებანი, ტ. XVIII, თბილისი, 2005., გვ.367-374;